ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2020 წლის 2 მარტი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 იანვრის №2 დადგენილების პირველ მუხლში (www.matsne.gov.ge, 17/01/2018, 010250020.35.158.016406) შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1

დამტკიცდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და საშტატო ნუსხა დანართი №1-ის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 2 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **თამაზ ჟორჟოლიანი**

დანართი №1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მუხლი 1. პოლიტიკური თანამდებობის პირები		**რაოდენობა**	**თანამდებობრივი სარგო**
1.	საკრებულოს თავმჯდომარე	1	3950
2.	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	3100
3.	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2950
4.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	4	2950
5.	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	5	1600
	მუხლი 2. პროფესიული საჯარო მოხელეები		
აპარატის უფროსი			

1.	პირველი რანგი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	2300
სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება			
2.	მეორე რანგი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანეული	1	1800
3.	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურისტი)	1	1500
4.	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2	1200
საორგანიზაციო განყოფილება			
5.	მეორე რანგი – მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანეული	1	1800
6.	II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1200